ბავშვზე ძალადობა: რა უნდა ვიცოდეთ და როგორ ავიცილოთ ის

მშობლებისა და აღმზრდელებისთვის

ბავშვზე ძალადობა:
რა უნდა ვიცოდეთ და როგორ ავიცილოთ ის

შშობლებისა და აღმზრდელებისთვის

მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ
პროექტის: „გადავლახოთ ბარიერები - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა ძალადობისგან და მათი სოციალური და
პროფესიული ინტეგრაციის ხელშეწყობა“, ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება
ბავშვის საერთაშორისო კათოლიკურ ბიუროს, საქართველოს საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ფონდისა და კავშირ „რეა“-სთან თანამშრომლობით.

დაფინანსებულია
საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD),
Carigest, Lord Michelhe Hellingley Foundation და
ბავშვთა საერთაშორისო კათოლიკური ბიუროს (BICE) მიერ

« მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.»
გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის, მუხლი 19

« გონებრივი ან ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.»
გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 23-ე მუხლი

« ბოლო მოეღოს სასტიკ მოპყრობას, ექსპლუატაციას და ადამიანებით ვაჭრობას, ასევე ყველა სახის ძალადობასა და წამებას, რომლის მსხვერპლნიც ბავშვები არიან.»
მდგრადი განვითარების მიზნები - ამოცანა 16.2

«სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის.»
საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 11

« სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის, მათ შორის, გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვით.»
ბავშვის უფლებათა კოდექსი მუხლი 7. 3.

Cveni Svilebi da maTi uflebebi

ძვირფასო მშობლებო, აღმზრდელებო! თქვენ გიყვართ თქვენი შვილი და მასაც უყვარხართ. ეს სიყვარული ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი ემოციაა მსოფლიოში. თქვენ თქვენს შვილს მხოლოდ საუკეთესოს უსურვებთ, ზრუნავთ მის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე და გსურთ, რომ მას ბედნიერი და უსაფრთხო ბავშვობა და მომავალი ჰქონდეს.

სიყვარული და ზრუნვა ბავშვის აღზრდის ფუნდამენტური ასპექტია და იგი ხელს უწყობს მის ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. განაგრძეთ ამ სიყვარულის აღზრდა და თქვენი შვილი უდავოდ იგრძნობს თავს სანუკვარად და მხარდაჭერას მთელი ცხოვრების განმავლობაში. უანგარო სიყვარული, სითბო და ურთიერთ დაფასება საფუძველს უყრის ჯანსაღ, ჰარმონიულ, სრულფასოვან ურთიერთობას მშობელსა და შვილს შორის, აძლევს შვილს უსაფრთხოების და მხარდაჭერის განცდას.

ბავშვი ყველაფერს გრძნობს და განიცდის. მას დაბადებიდანვე აქვს საკუთარი სურვილები და უფლებები. ბავშვის აღზრდის პროცესში მისი უფლებების დაცვა და პატივისცემა უმნიშვნელოვანესია. ბავშვის უფლებების დაცვით, ჩვენ მას თავისუფალ, ღირსეულ ადამიანად აღვზრდით, რომელიც პატივს სცემს სხვის უფლებებს და თავისუფლებებს.

yvela gogos Tu biWs aqvs uflebebi

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თავისი ღირსებითა და უფლებებით თანასწორი. ყველას აქვს უფლებები! ყველა გოგოს თუ ბიჭს აქვს უფლებები.

- ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება, აგრეთვე დაბალანსებული და ჯანმრთელი ფიზიკური, ფსიქიკური, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების უფლება.

- ბავშვის უფლებაა, ჰქონდეს ინტერესები, რომლებიც დაცული იქნება მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს. დაუშვებელია ამ ინტერესთა შელახვა, მაგალითად, მისი წარმოშობის, თვალსაზრისის, რწმენისა ან სქესის გამო.

- ბავშვის უფლებაა, მოუსმინონ მას მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას. ბავშვს აქვს უფლება, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი

მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით. ეს უფლება არ უნდა შეიზღუდოს მისი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა გარემოების საფუძველზე.

- ბავშვის უფლებაა, უზრუნველყოფილი ქონდეს უმთავრესი საჭიროებები, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და ზრუნვა ჯანმრთელობაზე.

- ბავშვის უფლებაა, დაცული იყო ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, მათ შორის, ოჯახში, სკოლაში და ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებში.

- ბავშვს აქვს უფლება, მიიღო კარგი განათლება, რათა უზრუნველყოს მისი ნიჭისა და შესაძლებლობების რაც შეიძლება სრული განვითარება. მიღებული განათლებით უნდა ისწავლოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, მოემზადოს თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის, ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ყველა ხალხის თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.

- ბავშვის უფლებაა, მიიღო სანდო და მრავალმხრივი ინფორმაცია.

- თუ ბავშვს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შეზღუდულობა, მას აქვს უფლება, იცხოვროს ღირსეულად ისე, რომ იყოთ ჩვენი საზოგადოების ნაწილი, განავითაროს მისი პიროვნება და ისარგებლო დამოუკიდებლობით, რამდენადაც შეუძლია.

- ბავშვს აქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, თამაშის, გასართობი, შემოქმედებითი თუ კულტურული ღონისძიებების უფლება მისი ასაკისათვის შესაფერ გარემოში, მისივე უფლებების პატივისცემით.

yvela bavSvi unikaluria

რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი მართლაც უნიკალურია. ბავშვი პიროვნებაა, მას აქვთ ძლიერი და სუსტი მხარეები, ინტერესები და განვითარების შესაძლებლობები. ამ უნიკალურობის აღიარება და პატივისცემა აუცილებელია ბავშვის აღზრდისა და მასზე ზრუნვის პროცესში.

ბავშვის უნიკალურობის აღიარება და აღნიშვნა ხელს უწყობს თვითშეფასების და თავდაჯერებულობის გრძნობას. ის ასევე ეხმარება მშობლებსა და აღმზრდელებს უზრუნველყონ მორგებული მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა, რომელიც შეესაბამება თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. ბავშვის უნი-

კალურობის აღქმა ხელს უწყობს მათ საერთო კეთილდღეობასა და პიროვნულ განვითარებას.

ra da ratom unda vicodeT bavSvze Zaladobis Sesaxeb?

მოკლედ შეიძლება ვთქვათ, რომ ძალადობა ბავშვისთვის მატრავმირებელი ქცევაა. ძალადობას ყოველთვის თან ახლავს პირადი ღირსების შეურაცხყოფა. ის შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, ცემით, სექსუალური დევნით, პირადი საკუთრების ხელყოფით ან საჯარო შეურაცხყოფით.

ჩვეულებრივი ყოფითი საწყენი რეპლიკები და კრიტიკული შენიშვნები სხვა არაფერია, თუ არა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რადგანაც ეს უცილობლად აისახება ვისიმე ემოციურ ან ფიზიკურ მდგომარეობაზე. ცუდი გუნება განწყობილება ან დაგროვილი გაღიზიანება არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს მსგავს გამოვლინებებს.

ბავშვის მიმართ ძალადობრივი ქცევის მხოლოდ ერთი მიზეზი არ არსებობს. ამას გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვების მიმართ ძალადობა ოჯახის სოციალურ - ეკონომიურ მდგომარეობაზე, რასაზე, ეროვნებაზე ან რელიგიაზე დამოკიდებული არაა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზარდები 3-4-ჯერ უფრო ხშირად ხდებიან ფიზიკური და სექსუალური ძალადობისა თუ ზრუნვის ნაკლებობის მსხვერპლი, ვიდრე სხვა ბავშვები.

ბავშვზე ძალადობა სერიოზული საკითხია და იგი ერთობლივი ძალისხმევით მსხვერპლთა დახმარებისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ეს მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბავშვების უსაფრთხო და ჯანსაღი ზრდა-განვითარება. ინფორმირებულობით და სიფხიზლით, ჩვენ შეგვიძლია წვლილი შევიტანოთ ბავშვების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაში ოჯახსა და საზოგადოებაში.

cota ram istoriidan

ბავშვზე ძალადობა არ არის ახალი ფენომენი და მას აქვს ხანგრძლივი ისტორია, რომელიც საუკუნეებს ითვლის.

ძველი ცივილიზაციები: ბავშვებზე ძალადობა დადასტურებულია ძველ ცივილიზაციებში, როგორიცაა საბერძნეთი და რომი. ამ საზოგადოებებში ბავშვებს ხშირად ეპყრობოდნენ, როგორც საკუთრებას და ფიზიკური დასჯა განიხილებოდა დისციპლინის

გავრცელებულ მეთოდად.

შუასაუკუნეების ევროპა: შუა საუკუნეებში ბავშვების მკაცრ ფიზიკურ დასჯას, როგორც დისციპლინის საშუალებას. ფიზიკური დასჯა ფართოდ იყო მიღებული, გავრცელებული იყო ბავშვთა შრომა.

ამერიკა: კოლონიურ ამერიკაში ბავშვებზე ძალადობის შემთხვევები და მათი ფორმები კარგად არ არის დოკუმენტირებული, მაგრამ ბავშვები რთულ პირობებში ცხოვრობდნენ, განიცდიდნენ სხვადასხვა ფორმის ძალადობას, მათ შორის მძიმე და აუტანელ შრომას.

აზიის ქვეყნები: აზიის ქვეყნებშიც საუკუნეების განმავლობაში გავრცელებული იყო ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ფორმა, ფიზიკური, ემოციური, სექსუალური ძალადობისა და უგულებელყოფის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ისტორიული ჩანაწერები მცირეა, მაინც არსებობს ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების შესახებ ისტორიული ფაქტები.

საქართველო: ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ რეგიონში, ბავშვზე ძალადობის შესახებ ისტორიული ჩანაწერები ძალიან მწირია, თუმცა ცნობილია რომ ბავშვზე ძალადობის სხვადასხვა ფორმა იყო გავრცელებული. საქართველოში ბავშვზე ძალადობის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში დამალული იყო. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დახმარება, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სამედიცინო დახმარებით შემოიფარგლებოდა. უკანასკნელ წლებში, საზოგადოება აქტიურად ალაპარაკდა ამ პრობლემის შესახებ. დღეს დასამალი აღარაა, რომ ბავშვების დიდი რაოდენობა ძალადობას განიცდის, ამასთან, ხშირად სწორედ იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ისინი უნდა დაიცვან.

მართალია, ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის საკითხი ასწლეულების მანძილზე საზოგადოების შეშფოთებას და წუხილს იწვევდა, მაგრამ ამ პრობლემას ფართო გამოხმაურება არ ჰქონია. მნიშვნელოვანი პოზიტიური გარდატეხა ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაში მოახდინა პედიატრმა ჰენრი კემპემ.

მან, 1961 წელს, ამერიკის პედიატრიის აკადემიის ყოველწლიურ სხდომაზე წარმოადგინა ფუნდამენტური კვლევის შედეგები, რომელშიც პირველად იყო ნახსენები ტერმინი „ნაცემი ბავშვის სინდრომი“.

ამ ტერმინით კემპე აღწერდა და განსაზღვრავდა ბავშვებში ეგრეთ წოდებული აუხსნელი დაზიანებების ბუნებას. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ დროიდან, მსოფლიოს

უმრავლეს ქვეყნებში, ბავშვებთან მომუშავე მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა აღიარეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენი, როგორც სპეციალური პრობლემა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების, მშობლებისა და მთელი საზოგადოების ძალისხმევათა გაერთიანება.

მე-20 საუკუნის დასაწყისი სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო ბავშვთა დაცვის კანონების ამოქმედება, რომლებიც ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ბავშვთა შრომა და უგულებელყოფა. ამავე საუკუნის ბოლოს, ბევრ ქვეყანაში გაძლიერდა ბავშვთა დაცვის კანონები და შეიქმნა ბავშვზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და გადამისამართების მექანიზმები. შეიქმნა ბავშვთა დაცვის სამსახურები ბავშვზე ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევების პრევენციის, გამოვლენის, გამოძიების და მსხვერპლთა დაცვა-დახმარებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვზე ძალადობის გაგება დროთა განმავლობაში განვითარდა და საზოგადოებებმა უფრო მეტად გააცნობიერეს ბავშვების ზიანისგან დაცვის აუცილებლობა.

საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც ძალადობისგან ბავშვთა დაცვას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. საქართვლოს კონსტიტუცია და კანონები კრძალავს ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმას. შეიქმნა და ვითარდება ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და მასზე რეაგირების მექანიზმები, სერვისები რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ბავშვს და მათი ოჯახის წევრებს დახმარებას უწევენ. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია პროგრესი, მუდმივი ძალისხმევა აუცილებელია ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში.

ra aris bavSvze Zaladoba

ბავშვზე ძალადობაა ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

ბავშვის მიმართ ძალადობრივი ქცევა შეიძლება იყოს ერთჯერადი აქტი და ასევე ბავშვთან ურთიერთობის, ქცევის მუდმივი ფორმა.

bavSvze Zaladobis formebia:

ფიზიკური ძალადობა - ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: დარტყმა,

ხელის კვრა, სილის გაწვნა, წამოთაქება, ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, თუნდაც „აღმზრდელობითი“ მიზნით.

ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა - ქცევები, რომელთა მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით. ფსიქოლოგიური ძალადობაა: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდენია და სხვა. ბავშვზე ძალადობაა მოზრდილთა ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით.

სექსუალური ძალადობა - ბავშვის გამოყენება სექსუალური მიზნებისათვის: სექსუალური მეტყველებით დევნა, ეროტიული ელფერის ალერსი, თვალთვალი, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვა ან ხელშეწყობა, გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრები სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევა (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულება და სხვა.

უგულებელყოფა - ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების, როგორიცაა საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა, რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან. ეს შეიძლება მოხდეს ობიექტური მიზეზების გამო - სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა, ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

ნაადრევი ქორწინება - ქორწინებას 18 წლის ასაკამდე ნაადრევ ქორწინებას უწოდებენ და იგი ბავშვზე ძალადობად ითვლება. ნაადრევი ქორწინება ხშირად მშობლების და ან ნათესავების ძალდატანების შედეგად ხორციელდება. ნაადრევი ქორწინების დროს, ხშირ შემთხვევაში, გოგონა გაცილებით ახალგაზრდაა, ვიდრე მამაკაცი, ვიზედაც მას აქორწინებენ. ნაადრევი ქორწინება ხელს უშლის ბავშვის განვითარებას და საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას.

Zaladobrivi qcevis sxva gamovlinebebi

ძალადობის და უგულებელყოფის ამსახველი, ზემოთ აღწერილი ქცევების გარდა, არსებობს მშობლისა თუ მზრუნველის სხვა ქცევებიც, რომლებსაც იგივე შედეგები მოაქვთ, რაც ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მშობლის ასეთი საქციელი ბავშვზე ზრუნვით არის განპირობებული, თუ მოტივირებული. ამ დროს, ხშირად, ისეთი ბავშვები ზარალდებიან, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელო-

ბის პრობლემები ან შეზღუდული შესაძლებლობები. ასეთი ქცევის მაგალითია:

- ბავშვის იძულებითი კვება;
- გაუმართლებელი ან გადაჭარბებული ფიზიკური შეზღუდვა;
- არასწორად მორგებულ აღჭურვილობა, მაგალითად საძილე დაფები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხეულის დაზიანება ან ტკივილი;
- სითხის, მედიკამენტების, საკვების შეზღუდვა;
- საძილე და დამამშვიდებელი მედიკამენტების ბოროტად გამოყენება;
- სამედიცინო პროცედურების ჩატარება ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ;
- რეკომენდებული სამედიცინო რეჟიმების მიზანმიმართული შეუსრულებლობა;
- ბავშვის ფინანსების მითვისება და ბოროტად გამოყენება.

gogonebisa da biWebis mimarT ganxorcielebuli Zaladobis formebi

ძალადობის რისკი გოგონებისა და ბიჭებისათვის ნაირგვარია და დამოკიდებულია როგორც აღზრდის სხვადასხვა მეთოდზე, ისე მათ მიმართ დამოკიდებულებაზე. გოგონებსა და ბიჭებს თანაბარი უფლებები აქვთ და ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა გოგონამ ისარგებლოს ისეთივე უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ ბიჭები. დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ძალადობა, როგორც გოგონებზე, ისე ბიჭებზე.

bavSvze Zaladobis Sedegebi

ძალადობა ყოველთვის სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას.

ბავშვზე ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, მაგრამ ძალადობა ყოველთვის სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას, განვითარებასა და სოციალიზაციას, ზოგჯერ კი საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს. ძალადობის მყისიერ შედეგებს მიეკუთვნება:

- ფიზიკური დაზიანებები - მოტეხილობა, ჭრილობა, დამწვრობა, სისხლჩაქცევები, ტვინის შერყევა და სხვა.

- მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემები - ჭარბი აგრესია, შიშები, დეპრესიული მდგომარეობა, საკუთარი უმწეობის და არასრულფასოვნების განცდა და სხვა.

- არსებობს მტკიცებულებები, რომ უფროსებში გამოვლენილი მრავალი დაავადება - გულის იშემიური დაავადებები, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტე-

მების ქრონიკული დაავადებები, სიმსივნე და სხვა - ბავშვობაში გადატანილ ძალადობასთანაა დაკავშირებული.

ბავშვებს, რომლებიც ძალადობას განიცდიან, ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დარღვევები აღენიშნებათ.

დადგენილია, რომ ძალადობის ან ტრავმის ზემოქმედება გავლენას ახდენს განვითარების პროცესში მყოფ ბავშვის ტვინზე. იმ ბავშვების თავის ტვინი, რომლებიც ხშირად განიცდიან სტრესს, ფიზიკური, სექსუალური ძალადობის ან ხანგრძლივი უგულებელყოფის სახით, მთელ თავიანთ რესურსებს გარემოში არსებული საფრთხის დაძლევასა და გადარჩენაზე ხარჯავენ.

ბავშვები, რომლებიც ძალადობას განიცდიან, ხშირად ჩამორჩებიან თანატოლებს სიმაღლით, წონით ან ორივე მაჩვენებლით ერთდროულად. ისინი უფრო გვიან იწყებენ სიარულს, ლაპარაკს, იშვიათად იცინიან, ცუდად სწავლობენ. ასეთ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), მეტყველების პრობლემები, მავნე ჩვევები (თითების წოვა, ფრჩხილების კვნეტა და სხვა).

ძალადობაგანცდილი ბავშვი მუდმივი სტრესის მდგომარეობაში იმყოფება, და თუ დახმარების გარეშე დავტოვებთ, უკვე მოზრდილ ცხოვრებაში ეს მასში სერიოზულ პიროვნულ გადახრებს, შეუქცევად ფსიქოლოგიურ პრობლემებს გამოიწვევს.

vin SeiZleba gaxdes Zaladobis msxverpli

ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ, არსებობს ბავშვების კატეგორია, რომლებიც სასტიკი მოპყრობის „რისკ-ჯგუფს" შეადგენენ: მცირეწლოვანი ასაკის, დღენაკლი ბავშვები, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, შვილად აყვანილი ბავშვები, რომლებმაც „ვერ გამართლეს მოლოდინები". შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ასევე მიეკუთვნებიან ამ ჯგუფს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, როგორც წესი, უფრო ხშირად განიცდიან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, ვიდრე სხვა ბავშვები. შეზღუდული შესაძლებლობის ფორმა და სიმძიმე გავლენას ახდენს ძალადობის ალბათობაზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის რამდენიმე ფაქტორი ზრდის ძალადობის რისკს:

- ინტელექტუალური უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვებს უჭირთ სათანადო და შეუსაბამო ქცევის გარჩევა, მათ ზოგჯერ არც იციან ან არ ესმით, რომ მოზრ-

დილები არ უნდა იქცეოდნენ ასე;

- ინტიმური ზრუნვა რამდენიმე მომვლელისაგან, რაც ზრდის სექსუალური ძალადობის რისკს და ართულებს ბავშვებისთვის პირადი სივრცის დადგენას და შენარჩუნებას;
- წინააღმდეგობის გაწევის ან ძალადობის თავიდან აცილების უნარის ნაკლებობა;
- ინფორმაციის გამხელაზე თავის არიდება, ზრუნვის სერვისის დაკარგვის შიშით;
- დაუცველობა ბულინგისა და დაშინების მიმართ;
- კომუნიკაციის სირთულეები, რამაც შეიძლება გაართულოს ინფორმაციის გამჟღავნება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დღემდე ითვლებიან „ნაკლებად სანდო“ მოწმეებად.
- ნაკლები კონტაქტები გარე სამყაროსთან, ვიდრე სხვა ბავშვებს.

vin SeiZleba iyos moZalade

ბავშვები ძალადობას განიცდიან სხვადასხვა პიროვნებებისაგან, ხშირად მოძალადე ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ადამიანი, ან თვით მშობელია. მცდარია წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს მოძალადე ადამიანები „არანორმალურნი“ ან დანარჩენებისაგან განსხვავებულნი არიან. ხშირად გარემომცველებს არ სურთ იმის დაჯერება, რომ „გარეგნულად ასეთი წესიერი” ადამიანი შეიძლება სასტიკად ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს; მაგრამ ეს მართლაც ასეა - ხშირად მშობლები, რომლებიც რეგულარულად სცემენ თავიანთ შვილს, გარეშეებთან ურთიერთობაში სასიამოვნონი არიან და სხვათაგან არაფრით გამოირჩევიან. მათ ერთი სერიოზული პრობლემა აერთიანებთ - თავიანთი რისხვის კონტროლის უუნარობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ მოძალადეების ყველაზე დიდ ჯგუფს განსაკუთრებით ისინი, რომელიც სექსუალურ დანაშაულს სჩადიან, მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებში მუშაობენ და ჩართულების არიან ბავშვის მოვლის საკითხებში.

Zaladobis msxverpli bavSvis fizikuri da qceviTi niSnebi

ბავშვზე ძალადობის ძირითადი ნიშნებია:

- შფოთვა და შეუძლოდ ყოფნა;
- სისხლჩაქცევები და სხვა ფიზიკური დაზიანებები;
- უგულებელყოფის ნიშნები, ასევე ზრდისა და განვითარების ჩამორჩენა არაორგანული მიზეზებით;
- თვითდაზიანება;
- ვაგინალური და რექტალური სისხლდენა;

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია, პათოლოგიური ან სექსუალურ ქცევა, რომელიც შეიძლება სექსუალურ ძალადობაზე მიუთითებდეს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ბავშვში;
- ორსულობა;
- და სხვა

ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ავლენენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვის დამახასითებელ იგივე ქცევით და ფიზიკურ ნიშნებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში, რთულია ძალადობის და შეზღუდული შესაძლებლობის სიმპტომების გამოყოფა, მაგ. ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვებში კრუნჩხვის შეტევების მომატება შეიძლება გამოწვეული იყოს ანტიკონვულსიური პრეპარატების მიღების შეჩერების გამო ან ძალადობის შედეგად მიღებული სტრესით. არსებობს მოსაზრებები, რომლებიც კვლევებს ეყრდნობა:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე ძალადობა, შესაძლოა, უფრო ხშირია, მაგრამ ამის თაობაზე კვლევები და მტკიცებულებები ძალიან მცირეა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების რაოდენობა გაცილებით დაბალია, ვიდრე მათზე ძალადობის შემთხვევები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ სირთულეები, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ, რომ აცნობონ ვინმეს ძალადობის შესახებ;
- ბავშვზე ძალადობა, შესაძლოა, არსებობდა შეზღუდულობამდე, ან იგი შეიძლება ძალადობის მიზეზით იყოს გამოწვეული;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საჭიროებების მქონე ბავშვებში ძალიან ხშირად ძალადობის ამოცნობა არ ხდება, რადგან არსებული ნიშნები, ხშირად ბავშვის ზოგადი მდგომარეობის მიზეზად ითვლება.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლები ხდებიან, მათ შორის, სექსუალური ძალადობის. სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, უფრო ხშირად ხდებიან სმენადაქვეითებული ბავშვები და ბავშვები ქცევითი დარღვევების დიაგნოზით.

bavSvze Zaladobis gamJRavneba

ხშირად ბავშვები არ საუბრობენ იმაზე, თუ რა გადახდათ თავს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც საქმე ეხება ბავშვზე ძალადობას, განსაკუთრებით სექსუალურ ძალადობას. არსებობს ბევრი მიზეზი, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, არ ხდება ძალადობის შემთხვევების გამჟღავნება. მაგალითად:

- შიში - ბევრ ბავშვს ეშინია გაამჟღავნოს ძალადობის ფაქტი, ვინაიდან ფიქრობს რომ არ დაუჯერებენ ან მასვე დაადანაშაულებენ. ზოგჯერ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია ამის შესახებ, მაგრამ არაფერს ამბობენ, რადგანაც ფიქრობენ მოძალადეს მეტი ზიანის მიყენება შეუძლია.
- სირცხვილი - ბავშვს შეიძლება ეშინოდეს, რომ თუ სხვები გაიგებენ ძალადობის შემთხვევის შესახებ, მას დაადანაშაულებენ ან გარიყავენ. მსგავსი რამ ხშირად ხდება ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევაში - ზოგჯერ საზოგადოება და საკუთარი ოჯახიც ადანაშაულებს ბავშვს და მას ოჯახის შერცხვენას აბრალებს.
- „ნორმალურია“ - ხანდახან ძალადობას უყურებენ როგორც ნორმალურ მოვლენას, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას იყენებენ დისციპლინის დამყარების მიზნით.
- უნდობლობა - ძალადობის შემთხვევების შესახებ არ ხდება განცხადება, რადგან ბავშვები და უფროსები არ ენდობიან ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს ან შეიძლება, იმ ადგილზე, სადაც ძალადობა მოხდა, არ იყოს პასუხისმგებელი პირი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებში, ძალადობის შემთხვევების გამოვლენისას, მნიშვნელოვანია სპეციალისტს გააჩნდეს ამგვარ ბავშვებთან ურთიერთობისთვის სპეციფიური უნარები. მაგალითად, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების სირთულის მქონე ბავშვთან ალტერნატიული საკომუნიკაციო უნარების სპეციალისტი არის ფასდაუდებელი.

მსუბუქი და საშუალო ინტელექტუალური ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებს შეუძლიათ გაიხსენონ ძალადობის შემთხვევის იდენტიფიცირებისთვის გამოსადეგი ინფორმაცია. ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მენტალური ასაკი ოპტიმალური სახელმძღვანელო ორიენტირია.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს მეტწილად ენასთან, სიტყვიერ გადმოცემასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. მათ აგრეთვე სიძნელეები აღენიშნებათ ვერბალური მოკლევადიანი მეხსიერების მხრივ. ხშირად რთულია მათი გაგებაც, ექსპრესიული, გამომხატველობითი ენის გამო. თუმცა ვიზუალური და სივრცითი დეტალების გახსენება მათი შედარებით ძლიერი მხარეა.

აუტისტური სპექტრის ბავშვებს, ენასთან და სოციალურ აღქმასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, უჭირთ მომხდარის პირადი თუ სოციალური ასპექტების გახსენება და აზრის გამოხატვა. უილიამსის სინდრომის მქონე ბავშვებს შედარებით განვითარებული ენობრივი უნარები აქვთ, თუმცა ვიზუალური და სივრცითი დეტალებისა თუ ცნებების გაგებაც და გახსენებაც უჭირთ.

gavrcelebuli miTebi SezRuduli SesaZleblobis mqone bavSvebis Sesaxeb

მითია: შეზღუდული შესაძლებლობა ბავშვს არასასურველს ხდის მოძალადეებისთვის.

სიმართლეა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ისევე ხდებიან სექსუალური მოძალადეების მსხვერპლი, როგორც სხვა ბავშვები.

მითია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობა არ აზიანებს ბავშვს.

სიმართლეა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აქვთ სექსუალური იდენტობა და სექსუალობა. ძალადობა მათ ისეთივე ზიანს აყენებს, როგორც სხვა ბავშვებს.

მითია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სექსუალობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხელს შეუწყობს სექსუალური ქცევის განვითარებას.

სიმართლეა: არ არსებობს მტკიცებულება, რომ ბავშვებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება ზრდის მათ სექსუალურ ქცევას. მცდარი წარმოდგენა ასახავს უფროსების საკუთარ შიშებს და სურვილებს დაიცვან ბავშვები.

მითია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს საკუთარი სხეულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ სჭირდებათ, რადგან ისინი არ არიან სექსუალური არსებები, რომლებსაც ოდესმე ექნებათ სექსუალური ურთიერთობა.

სიმართლეა: ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იზრდება და აქვს შესანიშნავი, ხანგრძლივი ჯანსაღი სექსუალური ურთიერთობები. მცდარი წარმოდგენა იწვევს ბავშვების მიერ საჭირო ინფორმაციის მიწოდების უარყოფას.

bavSvze Zaladobis prevencia

ოჯახი ბავშვისათვის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია. მზრუნველი, მოსიყვარულე ოჯახური გარემო ყველაზე ძლიერი დამცავი მექანიზმია ძალადობის წინააღმდეგ.

ბავშვსა და მშობელს შორის უსაფრთხო, სტაბილური ურთიერთობა აძლიერებს ბავშვს, წინ ეღობება ძალადობას და ბავშვისთვის საზიანო სხვა მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება სამუდამო დაღი დაასვან მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

პრობლემურ, რთულ სიტუაციებში ბავშვები ხშირად მარტოობას, შიშს და უმწეობას განიცდიან. ეს განცდები ნაკლებად დამთრგუნველია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ყველა საჭირო შემთხვევაში მშობლების, ოჯახის წევრების მხარდაჭერას გრძნობენ.

მშობლებმა და აღმზრდელებმა უნდა იზრუნონ ბავშვების სექსუალური განათლებაზე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ინფორმაციის მიღების ისეთივე უფლება აქვთ, როგორც მათ თანატოლებს.

ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ და მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, უნდა იყვნენ ყურადღებით ძალადობის ნიშნებისა და სიმპტომების გამოვლენის მიმართ.

კარგი მშობლობა ბავშვის უსაფრთხოების საუკეთესო გარანტიაა. კარგი მშობლობისთვის საჭიროა, რომ ბავშვს:

- **თავი ოჯახის მნიშვნელოვან წევრად აგრძნობინოთ** - ოჯახური გადაწყვეტილებები ბავშვთან ერთად მიიღეთ. ამით ის იგრძნობს, რომ ოჯახის მნიშვნელოვანი წევრია.
- **ყურადღებით მოუსმინეთ,** სერიოზულად მოეკიდეთ მის აზრებს და გრძნობებს.
- **წაახალისეთ** - შეაქეთ, როცა რაიმე კარგად გამოუვა, დაეხმარეთ რეალური მიზნების დასახვაში. ამასთან, არ მოსთხოვოთ იმაზე მეტი, რაც შეუძლია.
- **გამოხატეთ სიყვარული სიტყვებით** და ფიზიკურად, და ხშირად გააკეთეთ ეს.
- **ასწავლეთ სხვაზე ზრუნვა**, თანაგრძნობა. დაეხმარეთ, რომ უკეთ შეეძლოს საკუთარი და სხვისი გრძნობების გაგება.
- **ასწავლეთ პასუხისმგებლობა** - წაახალისეთ ბავშვი, პასუხისმგებლობა აიღოს თავისი ქცევის შედეგებზე.
- **ხელი შეუწყვეთ დამოუკიდებელ აზროვნებას** - ბავშვმა უნდა ისწავლოს, თუ რა არის კარგი და რა - ცუდი; დაეხმარეთ, თავად შეაფასოს სიტუაცია და მართებული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს.
- **დაიცავით პიროვნების ხელშეუხებლობა** - როცა უკმაყოფილებას გამოხატავთ, არ განსაჯოთ თვითონ ბავშვი, მაშინაც კი, როცა მისი საქციელი აუცილებლად გაკიცხვას იმსახურებს. არა - "შენ ცუდი ხარ", არამედ "შენ ცუდად მოიქეცი"; ბავშვს აუცილებლად უნდა ესმოდეს, რომ თვითონ ის ძველებურად უყვართ, მაგრამ მისი ზოგიერთი საქციელი მიუღებელია.
- **დაეხმარეთ სტრესულ სიტუაციებში** - დაამშვიდეთ და გაამხნევეთ ბავშვი სტრესულ სიტუაციებში. დამამშვიდებელი სიტყვებით და ქცევით დაეხმარეთ ბავშვს გრძნობების, განსაკუთრებით უარყოფითი ემოციებისა და იმპულსების მართვაში. ბავშვის შეცდომებისა და წარუმატებლობის შემთხვევაში არ მოაკლოთ მას

სიყვარული და თანაგრძნობა.

- **აღიარეთ თქვენი შეცდომები** - ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ზოგჯერ თქვენც ცდებით, მაგრამ საკუთარ შეცდომებზე სწავლობთ. ნუ შეგეშინდებათ, რომ ამით ბავშვის თვალში ავტორიტეტი მოგაკლდებათ.
- **ესაუბრეთ ბავშვს მისი უფლებების შესახებ** - უპირველესად, უნდა გახსოვდეთ, რომ ბავშვს აქვს უფლებები, რომლებსაც კანონი იცავს! ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან. თქვენი, როგორც მშობლის მოვალეობაა, იზრუნოთ ბავშვისთვის კანონით მინიჭებული ამ უფლების დასაცავად.
- **იზრუნეთ ბავშვის უსაფრთხოებაზე,** საფრთხის არიდება შესაძლებელია!

aswavleT bavSvebs usafrTxoebis wesebi

ყურადღება მიაქციეთ, რომ უსაფრთხოების წესები იყოს მარტივი, ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელი.

- **აუხსენით რა არის პირადი სივრცე,** რატომ არის მნიშნელოვანი პირადი სივრცის-დაცვა. უთხარით, რომ პირადი სივრცის დაცვის წესები ეხება უფროსებსაც და ბავშვებსაც.
- **ასწავლეთ რას ნიშნავს უსაფრთხო შეხება,** განსხვავება უსაფრთხო და არაუსაფ-რთხო შეხებას შორის. არასასურველ შეხებაზე უარის თქმა.
- **ასწავლეთ, რომ ვინმესთან ერთად წასასვლელად, ყოველთვის ითხოვოს ნებართვა-** მშობლებისაგან, მასწავლებლისგან ან იმ ადამიანისაგან, ვინც მასზე ზრუნავს და მის უსაფრთხოებაზე პასუხს აგებს;
- **ასწავლეთ, რომ მოერიდო უცხო ქუჩებს, შენობებს, პარკებს და სხვა უცხო ადგი-ლებს;** უკითხავად არც მარტო და არც მეგობრებთან ერთად არსად წავიდეს;

kargad aswavleT usafrTxoebis sami nabijebi:

პირველი ნაბიჯი - ასწავლის ბავშვებს უარის სიტყვიერად გამოხატვას. ავარჯიშეთ ბავშვები „არა”-ს თქმის სხვადასხვა ფორმებზე.

მეორე ნაბიჯი - ასწავლის ბავშვებს გაეცალონ სიტუაციას. ეს ძალიან ადვილია. მაგ-ალითად: ოთახიდან გასვლა, ვინმეს კალთიდან ადგომა, წასვლა ან გაქცევა. დაეხმა-რეთ ბავშვებს ჩამოაყალიბონ წასვლის რაც შეიძლება მეტი ალტერნატივა.

მესამე ნაბიჯი - ასწავლის ბავშვებს, რაც შეიძლება მალე უთხრან უფროსს მომხდარის შესახებ. იმოქმედოს, დაარღვიოს დუმილი!

დაარწმუნეთ ბავშვები დაიცვან უსაფრთხოების წესები იმის მიუხედავად, თუ ვინ დაარღვევს მათ.

ტელეფონის ნომრები, რომელთა ცოდნა გამოგადგებათ ძალადობისგან ბავშვის დასაცავად:

112 - გადაუდებელი დახმარების ცენტრი

111 - ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი

116 111 - ბავშვთა დახმარების ხაზი

ra unda gakeTdes Zaladobis aRsakveTad?

არსებობს სხვადასხვა საშუალება, რაც ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების შემცირებაში გვეხმარება.

- სახლში ბავშვები ნაკლებად განიცდიან ბავშვები ძალადობას, თუკი უფროსებმა იციან, როგორ უნდა იყვნენ კარგი მშობლები, როგორ დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა თავიანთ ბავშვებთან და ძალადობის გარეშე ასწავლონ კარგი და უსაფრთხო ქცევა.
- სკოლაში ძალადობის შემცირება შესაძლებელია თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის კონკრეტული წესების შემოღებით. ეს უზრუნველყოფს, რომ ძალადობა და დისკრიმინაცია არასოდეს გახდეს ნებადართული.
- ისეთ საზოგადოებაში, სადაც უფროსები და ბავშვები ერთად მშვიდობიანად, კონფლიქტებისა და დისკრიმინაციის გარეშე ცხოვრობენ, ნაკლებად აქვს ადგილი ბავშვზე ძალადობის შემთხვევებს.
- ისეთ საზოგადოებაში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა იცხოვრონ ღირსეულად, არიან ინტეგრირებული საზოგადოებაში, სადაც მას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის, განათლების და დასაქმების შესაძლებლობა, ნაკლებად აქვს ადგილი ბავშვზე ძალადობის შემთხვევებს.
- ისეთ საზოგადოებაში, სადაც გოგონებსა და ბიჭებს თანაბარი უფლებები აქვთ ოჯახსა და საზოგადოებაში, ნაკლებად აქვს ადგილი ბავშვზე ძალადობის შემთხვევებს.
- როდესაც ბავშვის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად რაიმე ზომებს მიმართავენ, გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ ამ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებს - ძალადობის შეწყვეტის, ან მისი შედეგების გამოსწორების მცდელობისას, ბავშვის მდგომარეობა უფრო არ უნდა დამძიმდეს.

- ისეთ საზოგადოებაში, სადაც ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობა არ განიხილება ოჯახის „პირად“ საქმედ და გარეშე პირები არ თვლიან რომ „არ ჩაერიონ ამ საქმეში“, ნაკლებად აქვს ადგილი ბავშვზე ძალადობის შემთხვევებს. თითოეული ბავშვის პატივისცემის, ღირსების დაცვისა და ფიზიკური კეთილდღეობის უფლება არ წყდება მისი ოჯახის თუ სახლის კართან.

მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ
პროექტის: „გადავლახოთ ბარიერები- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა ძალადობისგან და მათი სოციალური და პროფესიული ინტეგრაციის ხელშეწყობა“, ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება
ბავშვის საერთაშორისო კათოლიკურ ბიუროს, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდისა და კავშირ „რეა“-სთან თანამშრომლობით.

დაფინანსებულია
საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD),
Carigest, Lord Michelhe Hellingley Foundation და
ბავშვთა საერთაშორისო კათოლიკური ბიუროს (BICE) მიერ

საკონტაქტო ინფორმაცია
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქ. N4, ბინა N1
ტელ: +995 32 2421 422
www. phf. org.ge